

---

## GEPLAC-ის საქმიანობა

### ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული სამართლის მაგისტრატურა და GEPLAC-ის საუნივერსიტეტო პროგრამა

დავით კირესელიძე\*

#### 1. შესავალი

საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული წესი დამკვიდრდა: ზოგიერთისათვის უმაღლესი განათლების მიღება თვითმიზნად, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ თვითმიზნის განხორციელების ინსტრუმენტად იქცა. კაპიტალდაბანდების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად საუნივერსიტეტო განათლების ფორმალური მიღება ან, სულაც, საკუთარი უნივერსიტეტის გახსნა აღიქმება.

ამ ფონზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმრავლე (დაახლოებით 26 სახელმწიფო და 200 კერძო) და მათში არსებული განსაკუთრებული „სიყვარული“ იურიდიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ გასაკვირი ნამდვილად არაა – იურისტობა ხომ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პროფესიად იქცა.

იურიდიული განათლების დონე საზოგადოების წინსვლის მაჩვენებელიც არის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამდენ იურისტს ერთ სულ მოსახლეზე, ალბათ, სხვა არცერთ ქვეყანაში არ ვხვდებით, შეიძლება „ქართველი საზოგადოების განათლებულობა“ საამაყოდაც კი მოგვეჩვენოს, თუმცა არც ისაა სადავო, რომ რაოდენობა ყოველთვის ვერ იქნება ხარისხის მაჩვენებელი. შესაბამისად, იურიდიული განათლების შემდგომ განვითარებაზე უდავოდ გვმართებს ფიქრი და, რაც მთავარია, აქტიური მოქმედება. სამწუხაროდ, იურიდიული განათლების ერთიანი, სახელმწიფო სტანდარტის დამკვიდრება, რაც იურიდიული განათლების შესახებ კანონით უნდა განხორციელდეს, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ქართული სტუმართმოყვარეობით ვეგებებით ყველაფერ ახალს, თუკი ის უცხოეთიდან მოდის; ყველაფერს უცხოურს გაცილებით უფრო დიდ პატივს ვცემთ. სიტყვა „უცხოური“ ხომ ხშირად უკეთესის სინონიმად იხმარება. ყურადღებით ვუსმენთ ჩვენი მეგობარი ქვეყნებიდან ჩამოსულ სპეციალისტებს, რომლებიც გულმოდგინედ გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რა ფასეულობები ჩავთვალოთ ჭეშმარიტად, რისთვის უნდა ვიბრძოლოთ და, ზოგადად, რა სჭირდება დღეს საქართველოს. ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლით დაინტერესებულ უცხოელ სპეციალისტთა რჩევა, რასაკვირველია, ყურადსაღებია, მაგრამ ამასთან, საქართველოს რეალობის გასათვალისწინებლად აუცილებელია თითოეული საკითხის კრიტიკული ანალიზი.

იურიდიული განათლების სისტემის დახვეწის თუ სასწავლო პროგრამების შემუშავებისას უნდა გავანალიზოთ, თუ რა მოცულობით გამოგვადგება უცხოური გამოცდილება და რა მოცულობით უნდა შევთავაზოთ ჩვენი კანონმდებლის ხედვა ახალგაზრდებს? სად გადის სასურველი ზღვარი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საქართველოში სამართლისმცოდნეობის განვითარების წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ. უდავოა, რომ უცხოური საგანმანათლებლო სისტემებისადმი ბრმად მიბაძვა და გადმოღება დადებით შედეგს არ მოგვცემს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საყრდენად სწორედ იმ უცხოელი მეგობრების ხელშეწყობა გამოვიყენოთ, რომელთა საქმიანობაც არსებითად ადგილობრივი სპეციალისტების მომზადებისკენაა მიმართული.

\* GEPLAC-ის დირექტორის მოადგილე სამართლებრივ საკითხებში.

ასეთ ვითარებაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) განსაკუთრებულ ფუნქციას ატარებს. მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იურიდიული განათლების შემდგომი განვითარების სწორად წარმართვა.

## 2. თსუ-ის ევროპული სამართლის მაგისტრატურა

თსუ-ის იურიდიული და საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტების ბაზაზე 2001 წელს შეიქმნა „ევროპული სამართლის მაგისტრატურა“, რომელიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებს გერმანულ ენაზე სთავაზობს ევროპულ სამართალში დამატებითი განათლების მიღების შესაძლებლობას. მაგისტრატურის სასწავლო კურსის გავლისა და სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების საფუძველზე თსუ ანიჭებს მაგისტრანტს „ევროპული სამართლის მაგისტრის“, „LL.M.Eur (თბილისი)“, აკადემიურ ხარისხს.

ევროპული სამართლის მაგისტრატურის დაფუძნებით უნივერსიტეტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას – იყოს ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი პროცესების ეპიცენტრში, დამაკავშირებელი რგოლი ქართველი და უცხოელი მეცნიერების საქმიანობაში, ასევე შექმნას სპეციალისტების მნიშვნელოვანი ბაზა, რაც ქვეყნის მომავალ განვითარებაში უდავოდ დიდ წვლილს შეიტანს.

ევროპული სამართლის მაგისტრატურა ემყარება უნივერსიტეტის კედლებში ქართველი და დასავლეთევროპელი სპეციალისტების ერთობლივ საქმიანობას. მაგისტრატურის დებულების შემუშავებიდან დაწყებული დღემდე არ ყოფილა საკითხი, რომელიც მხარეებს ერთმანეთისათვის თავს მოეხვიოთ, ან დარჩენილიყო არსებითად გადაუწყვეტელი. ასეთი მიდგომით, მაგისტრატურა ევროპული ნოუ-ჰაუს ქართულ რეალობაში მეცნიერულად დასაბუთებული გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

სასწავლო პროგრამის განსაზღვრისას აქცენტი გაკეთდა ცალკეული სამართლის ინსტიტუტის ხედვის ჭრილზე; უპირატესობა მიენიჭა შედარებით ანალიზს, როგორც სწავლების საუკეთესო მიმართულებას.

დღეს ქართული კანონმდებლობის გაგება და, მით უფრო, მისი შემდგომი განვითარება მოითხოვს ძირითადად კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის ცოდნას; თან არა მხოლოდ ბრმა ცოდნას, არამედ მის გააზრებასა და ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციის გაანალიზებას სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის ჭრილში. საჭიროა შედარებითი ანალიზი, რათა სტუდენტებისათვის ცხადი გახდეს, თუ საიდან იქნა გადმოღებული ესა თუ ის ნორმა ქართულ კანონმდებლობაში, რა მიზანს ემსახურება იგი იმ ქვეყანაში, რომელშიც იქნა შემუშავებული და რა ფუნქცია შეიძლება შეასრულოს მან საქართველოს დღევანდელ რეალობაში.

მაგისტრატურაში სწავლების მეთოდები „ევროპულია“, ანუ არსებითად გასხვავდება საქართველოში დამკვიდრებული მიდგომისაგან უპირველესად წერიტი გამოცდის ინსტიტუტითა და ლექტორსა და სტუდენტს შორის, როგორც აუდიტორიის შიგნით ისე მის გარეთ, ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი ურთიერთობით. წარმატებული ლექციის ჩატარების აუცილებელ წინაპირობას ლექტორისა და სტუდენტის არსებითად თანასწორობაზე დამყარებული თანამშრომლობა წარმოადგენს.

მაგისტრატურის სასწავლო კურსის ხანგრძლივობა, სამაგისტრო გამოცდის ჩათვლით, შეადგენს, მინიმუმ, ორ სემესტრს. ამგვარად, განსაზღვრულია სასწავლო პროგრამის მინიმალური ხანგრძლივობა, მაქსიმალური ზღვარი კი არ არსებობს. თუმცა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სტუდენტთათვის სასწავლო პროგრამის დასაძლევად ორი წელი სრულიად საკმარისია.

მაგისტრანტს ეძლევა სპეციალიზაციის არჩევის შესაძლებლობა ევროპული კერძო ან ევროპული საჯარო სამართლის განხრით. სასწავლო კურსის თითოეულ საგანში, ლექციის საათობრივი ხანგრძლივობისა და საგნის მოცულობის შესაბამისად გაიცემა „კრედიტები“.

მაგისტრატურის სასწავლო კურსი მთავრდება სამაგისტრო გამოცდით, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დასკვნით ზეპირ გამოცდას. სამაგისტრო გამოცდაზე მაგისტრანტმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას გააჩნია ევროპული სამართლის სათანადო ცოდნა და შესწევს მის მიერ შერჩეულ სამართლის სფეროში დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი.

კანდიდატი მიიღებს ევროპული სამართლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს, თუ მას ევროპულ სამართალში დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისა და მიღებული შედეგების ანალიტიკურად გადმოცემის უნარი შესწევს. ზეპირი დასკვნითი გამოცდა შეეხება სამაგისტრო ნაშრომის თემასა და იმ საგნებს, რომლებშიც მაგისტრანტმა მოიპოვა სათანადო „კრედიტები“. მაგისტრანტმა ზეპირ გამოცდაზე უნდა წარმოაჩინოს, რომ მან შეისწავლა ევროპული სამართლის საფუძვლები და ფლობს მის მიერ შერჩეული სპეციალიზაციის შესაბამისად მიღებული ცოდნის გამოყენების უნარს.

2003 წლის ოქტომბრიდან ევროპული სამართლის მაგისტრატურა მსურველებს შესთავაზებს ინგლისურ ენაზეც ევროპულ სამართალში დამატებითი განათლებისა და LL.M.Eur-ს აკადემიური ხარისხის მიღების შესაძლებლობას. ევროპული სამართლის მაგისტრატურის ინგლისურენოვან პროგრამას თავისი სპეციფიკა ახასიათებს. გერმანულ ცნებათა ზოგად-აბსტრაქტულ სისტემაზე დამყარებულ ლექციათა კურსთან ერთად მსმენელს ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს სამოსამართლო ენის თავისებურებებს. უცვლელი დარჩება პროგრამის მეთოდოლოგია, შედარებითი სამართლის ელემენტები, ძირითად ბირთვს ამ შემთხვევაშიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ინსტიტუტები შეადგენს. ამასთან, ყურადღება გამახვილდება ანგლო-ამერიკული სამართლის ელემენტებზეც.

**3. უცხოური ორგანიზაციების ხელშეწყობა და GEPLAC-ის საუნივერსიტეტო პროგრამა**

მნიშვნელოვანია უცხოური ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა მაგისტრატურის საქმიანობაში. რობერტ ბოშის ფონდის მხარდაჭერის გარეშე, შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელიც კი იქნებოდა მაგისტრატურის დღევანდელი სტატუსით არსებობა. აგრეთვე, აღსანიშნავია გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის პროგრამისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების ცალკეული ექსპერტის მხარდაჭერაც.

GEPLAC-ის საუნივერსიტეტო პროგრამა სწორედ თსუ-ის ევროპული სამართლის მაგისტრატურასთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება. საუნივერსიტეტო პროგრამა მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით:

პირველი, GEPLAC-ის ექსპერტები სთავაზობენ ევროპული სამართლის მაგისტრატურის სტუდენტებს, ისევე როგორც სხვა დაინტერესებულ პირებს, ლექციებისა და სემინარების სხვადასხვა კურსს ევროპული სამართლის აქტუალურ საკითხებზე. ამ გზით ხორციელდება GEPLAC-ის მიერ დასახული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი – ხელი შეუწყოს საქართველოსა და ევროპულ გაერთიანებას შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებისას შეძენილი ცოდნის გავრცელებას ფართო საზოგადოებაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ ევროპული სამართლის შემსწავლელი მაგისტრანტების ხელშეწყობა იძენს, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოში, ევროპული სტანდარტების დამკვიდრებასთან ერთად, ევროპული სამართლის მცოდნე სპეციალისტების მომზადება. ეს კი იქნება მნიშვნელოვანი საფუძველი საქართველოში ევროპული სამართლის შესაბამისად მიღებული კანონმდებლობის უკეთ გაგებისა და გააზრებისათვის;

მეორე, ძირითად მიმართულებას მაგისტრანტთა მიერ GEPLAC-ში პრაქტიკის გავლა წარმოადგენს, რაც მათ ანიჭებს შესაძლებლობას, უშუალო მონაწილეობა მიიღონ ევროპული სამართლის შესატყვისი კანონმდებლობის შემუშავებაში. GEPLAC-ის ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ევროპული სამართლის მაგისტრატურის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მათ მიერ შექმნილი თეორიული ცოდნა გაიღრმავონ პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაჭრისას და ჯერ კიდევ სწავლის განმავლობაში აქტიურად ჩაებან ევროპული სტანდარტების საქართველოს რეალობაში დამკვიდრების პროცესში, რაც გამოიხატება როგორც ევროპული სამართლის პრინციპების შესწავლასა და საქართველოს კანონმდებლობაში მათი ასახვის შედარებით ანალიზში, ისე ცალკეული ნორმატიული აქტის ევროპული კავშირის დირექტივების საფუძველზე მომზადებაში. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის შემუშავებისას საუნივერსიტეტო პროგრამის მონაწილეებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ცალკეულ სექტორში ანალიტიკური შედარებითი ანალიზის მომზადებაში.

გარდა ამისა, „ქართული სამართლის მიმოხილვის“ რუბრიკა – სტუდენტური ფორუმი – სთავაზობს სტუდენტებს მათთვის საინტერესო საკითხების გარშემო ინფორმაციის ურთიერთ-გაცვლისა და ევროპულ სამართალთან მიმართებით შექმნილი ცოდნის ურთიერთგაზიარების შესაძლებლობას.

ამრიგად, GEPLAC-ის საუნივერსიტეტო პროგრამა ხელს უწყობს მაგისტრანტების მიერ არა მხოლოდ ევროპული სამართლის უკეთ შესწავლას, არამედ ასევე უზრუნველყოფს შექმნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

#### **4. დასკვნა**

საქართველოში ევროპული სამართლის პრინციპების დამკვიდრება უშუალოდ განაპირობებს იურიდიული განათლების არსებულ სისტემაში ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას. ამ მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს თსუ-ის ევროპული სამართლის მაგისტრატურის შექმნა წარმოადგენს, რომლის წარმატებულ მუშაობაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოში ევროპული სამართლის მცოდნე ექსპერტთა ბაზის არსებობა. GEPLAC-ის საუნივერსიტეტო პროგრამა სწორედ საქართველოში ევროპული სამართლის პრინციპების დამკვიდრებასა და საზოგადოების ფართო ფენებისათვის ამ პრინციპების ხელმისაწვდომობას ემსახურება. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროპული სამართლის მაგისტრატურასთან ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოში არა მხოლოდ ევროპული სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, არამედ ასევე მისი წარმატებული ამოქმედება.